



საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელებით კანონმდებლობით

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

2018 წლის აგვისტოს თვეში სამოქალაქო კოდექსში ძალაში შევიდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომლებიც მიზნად ისახავს მომხმარებელთა უფლებების დაცვას სასესხო/საკრედიტო ურთიერთობებში, ასევე მოსახლეობის ჭარბვალიანობის რისკის შემცირებას, მათ შორის:

- ფიზიკურ პირზე (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეზე) გასაცემი/გაცემული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალება ან/და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალება, აგრეთვე სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალება. ასევე, დაუშვებელია ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი, აგრეთვე წყლის და საჰაერო სატრანსპორტო საშუალება გამოყენებულ იქნეს უზრუნველყოფის საშუალებად.

აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, საკრედიტო კავშირის და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ დასადები/დადებული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფაზე.

ასევე, აღნიშნული შეზღუდვა არ მოქმედებს, იმ შემთხვევაში, თუ უძრავი ქონება კრედიტორს საცხოვრებელ სადგომად გადაეცემა;

- თუ გამსესხებელი/კრედიტის გამცემი არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სუბიექტი, ფიზიკურ პირზე (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეზე) გაცემული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც უზრუნველყოფილი საგნების რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად. მხარეთა შორის სხვაგვარი შეთანხმება დაუშვებელია;
- სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა შემცირდა 50%-მდე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება No.996

ცვლილების თანახმად, ბრძანებას დაემატა XIX³ თავი, რომლის მიხედვით, განისაზღვრება იმ პირისათვის დღგ-ის თანხის დაბრუნების წესი და პირობები, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ის გადამხდელს.

დღგ-ს თანხის დაბრუნების მიზნით საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულმა პირებმა უნდა წარადგინონ ბრძანებით დადგენილი დოკუმენტები.


საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და
იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge



გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის
უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

თბილისი

ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171,
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66
Fax: +995 (32) 224 45 69
deloitte.ge

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 264 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.